ოქროს საწერი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
პრესა.

ფასი 10 კ. 1918.

№ 1.

№ 1.

ოქროს ვერძი.

შოთა რუსთაველი.

ვ. და გ. ჯაფარიძენი.



ᲒᲕ.

ტბაზე.

ს. აბაშელი.

თვალ-დაჩრდილულ მძინარ ღამეს მთვარე უხსნის ვერცხლის ღილებს.
ცის გუმბათი მოუქარგავს ვარსკვლავების თეთრ ყვავილებს.
ჰაერს სძინავს. უძრავ ფოთლებს სიო კოცნით დაკვდომია,
მთა ყურს უგდებს ვარსკვლავთ ჩურჩულს,—მდუმარ ფიქრით ცას სწვდომია.
მიწა სიზმარს მოუხიბლავს, ცამ არ იცის რა დრო არის,—
ჟამის ისარს ჰფარავს ცაზე ვერცხლის რიდე სავსე მთვარის.
ტბა მთვლემავი სარკის მკერდზე აკაშკაშებს ღამის სამოსს,
წყლით ანასხლეტ შუქის მარმაშს მოკრძალებით ჰფენს მიდამოს...

——

ნავი დადგა... და ნიჩაბი ატივტივდა მძინარ ტბაზე,
დამფრთხალ ტალღებს გაეღვიძა მცურავ ნიჩბის რხევის ხმაზე.
მეგობარო! ნავი დადგა, მე ნიჩაბი ტალღებს მივე,
ნუ შეგაკრთობს ცელქი ზვირთი, მთვარის შუქზე მოლივლივე.
შენი სახე სხივ-გაშლილი ცის ჩვენებას ედარება!
სულს მოესხა შვების ფრთები, გულმა იგრძნო ნეტარება!
საუკუნო ჟამთა სრბოლას მოსწყდა წამის ნაკადული,—
ამ წამშია სიყვარულის საიდუმლო დაფარული!..
ყური უგდე ტბის სარკეზე მთვარის სხივთა უცხო ჟღერას,
ყური უგდე შენს ნორჩ მკერდ ქვეშ გაჩქარებულ გულის ძგერას,—
და მიენდე ტრფობის ჰიმნსა,—ცეცხლად გიკცევს გრძნობის ტკივილს,
უტყვი ღამე შეინახავს შვებით მთრთოლავ სულის კივილს!..

——

...გრძნებით სავსე ღამის სახე შენს თვალებში ჩამარხულა:
ჰა, ცის კიდე და ტყის პირი, ჰა მთის თხემზე ღრუბლის ქულა!
თვალ-დაჩრდილულ ღამის ასულს, ვხედავ, მთვარე უხსნის ღილებს,
ცის გუმბათი მოუქარგავს ვარსკვლავების თეთრ ყვავილებს.
შენს თვალებში ტბა იცინის, შიგ ვსჭვრეტ ძეწნას თავდახრილსა,
ელვად ვსახავ შიგ გამომკრთალ წამწამებით ნაფრქვევ ჩრდილსა,
ვხედავ: ნაპირს ქოლგად ჰხურავს ფარფატ ნისლის თეთრი ტილო
და მთვარის შუქს ათამაშებს ტბის მთრთოლავი მარმარილო!..

ი. აბაშელი

ჟურნალი „ოქროს ვერძი“ ნიშნავს ორ ბრეძიას: სუფეთესო მოთხრობა-ზე და ლეგენდაზე. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

მაისის დილა ხარობდა.

ვ. რუხაძე.

მაისის დილა ხარობდა.
ფოთოლს კოცნიდა ფოთოლი...
ზამბახს ყურებზე ეკიდა
მარგალიტები ობოლი.
მთის ქოჩორ მზისა სხივები
დაქათქათებდენ ტრფობითა...
და მოხიბლული ბულბულიც
ტკბილათ გალობდა გრძნობითა.
სმენათ ქცეული მგოსანი
ხელში ლამაზი ჩანგითა,
ყურსა უგდებდა, ამბობდა,
ტყვეთ ქმნილი უცხო ჰანგითა:
„ჩიტო! გიხდება ჭიკჭიკი,
ტკბილი გალობა გშვენისო;
ეგ საიდუილო ნეტავი
ვიცოდე შენი ენისო.
მეც შენებრ ავჭიკჭიკდები,
ერის ბაღს დავამშვენებო;
დაცემულს აღვაფრთოვანებ
და ფეხზე ავაყენებო!
წინ წავუძღვები გალობით
სამოთხის დასახსნელაღო,
დღეს რომ ავსულსა უპყრია,
გვეძახის: „მოდი შველადო!“

ვ. რუხ

შოგა ჰანგისა.

იასამანი.

მძიმე რამ ჰანგი აღმოხდა გულსა, —
ეხლა ამშვენებს ჩემსა რვეულსა...
შეყვარებულის კვნესა ბულბულის,
პასუხათ ქარზე შიშინი ტყისა,
მუნჯური ენა მინდვრის ყვავილთა
და გარიჟრაჟზე ციალი მზისა,
ქარი, გრიგალი, ზღვა, ქარიშხალი,
ლრუბელი, ქვიშა, ბარი, სუდარა,
ციხე, ჯაჭვები, ლოდნი, საფლავნი,
ბასრი მახვილი, წყევლა — მუქარა, —
ჯერ შეუმჩნევლათ გაჰყვა გრძნობასა,
გონების ფონზე გამოიხატა,
კვალ და-კვალ სდია შეთანხმებულათ,
შემდეგ გადიდდა,
შემდეგ იმატა —
და დაიწერა...
მოეშვა გულსა:
სიტყვა გიმოვსთქვი სწორი და წრფელი...
მწვავე რომ იყო შობა ჰანგისა —
თან ნეტარება აუწერელი.

შუშა

1913 წ. აპრილი.

ქალი და ხელოვნება.

გ. ტაბაიძე.

ხავერდოვან მინდვრის ბალახს მობიბინე არხევს ქარი, —
თითქო ალერსს ეუედრება და ჩურჩული ისმის წყნარი...

მაგრამ მალე ქარტეხილათ გადიქცევა ცელქი ქარი,
გაიტაცებს ობოლ ყვავილს სწრაფ-უმიზნო ნიაღვარი.

გატაცებულ მგოსნის ჰანგებს გაგიჟებით ისმენს ქალი
თითქო სურს რომ ამ ჰანგებში გარდაიქმნეს ძილ-გამკრთალი.

მაგრამ მალე ცელქი ქალი, ვით ყვავილებს თეთრი მტვერი, —
გაშორდება დაღლილ მგოსანს... მობეზრდება ყველაფერი.

მე მინახავს ყვავილებზე მონავარდე თრთის პეპელა.
აშრობს და სცლის ყვავილის გულს ისე ნაზათ, ისე ნელა.

მაგრამ მალე ყვავილის მტვერს კმაყოფილი მოსცილდება
ყვავილი სულს განუტევებს, პეპელა კი პეპლათ რჩება.

ასე მგოსნის წრფელ სიმღერას ქალის ნაზი სევდა ბურავს,
სულ ქალი სვამს ამ სიმღერას, სანამ მთლად არ ამოსწურავს

ამოაშრობს გრძნობიერ გულს, საუკუნოთ მოსცილდება
სიმებს დასწყვეტს საბრალო ქნარს და ქალი კი ქალად რჩება.

დავიღალე მე ამ ამბით... თქვენ მხატვრებო, თქვენც, მგოსნებო,
დაგრჩათ კიდევ ქალში რამე სანეტარო, საოცნებო?!

ნიმუშები გერმანიის ლიტერატურიდან.

ჰენრიხ ჰეინე.

კ. აბაშ-პირელი.

მე მას ვერა დროს ვერ დავივიწყებ,
ამას მოწმობენ თვით მაღლა ცანი,
ვით მეკუთვნოდა მე ერთ ნეტარ დროს,
ეგ შენი სული და შენი ტანი.

* * *

ტანი ლამაზი, ტანი უმწიკვლო,
კიდევ მინდოდა ერთხელ მენახა,
სული მე თვითონ საკმაო მქონდა,
სული თუ გინდა სულ დაგემარხა.

* * *

მე გაგიყოფდი ჩემ საკუთარ სულს,
რა მომეკროდა ეგ შენი მკერდი,
ერთსახეობათ გადიქცეოდით,
რა ჩემ უკვდავ სულს შენ ჩამოგბერდი.

კოლხიდაში.

პაგარა პოემები პროზად.

ტ. ტაბიძე.

X.

პირველი სევდა.

...ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლით მონათვლას უძახდა.

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას, სად წავიდა ჩემი ბავშობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხოთ ჩემი კითხვა.

სად არ ვეძიე, სად, მე ის ღიმილი და ბოლოს დავრწმუნდი, რომ იგი არ განმეორდება, როგორც გვირგვინ მოხსნილი სიწმიდე.

...და ჩემ სულს ეწვია პირველი სევდა. პირველი სევდა, ბინდიანი, როგორც ოხვრა შუაღამისას ლიბანის მთაზე კედრისა.

ნაღვლიანი, როგორც სიმღერა ყვითელი ქარვის ფოთლების შემოდგომის ქარიშხალის ფრთებზე მოცეკვაჯეთა...

მოწყენილი, როგორც წეროების უკანასკნელი ძახილი.

პირველად მამამ ამოიკითხა ჩემ თვალებში სევდა, როცა ქანდრაკს ვთამაშობდით და მაშინ მივხვდი რომ წასული სევდამ მოქარგა და უხილავი ჯაჭვით გადაება მას მომავალი.

ჩემი სევდა მიაგავს სევდას ლეგენდის მოქანდაკისას, მარმალილოს რომ ენა ასწავლა ბრინჯაოს სიყვარულის ალერსი მაგრამ ერთხელ რომ ძლიერ პირდაპირ შეხედა მზეს და შემდეგ მოჯადოებულს არ შეეძლო მარმალილოზე ნაგრძნობის გადატანა და ამაში იყო ნათელი ტანჯვამისი სიცოცხლისა. ერთხელ შემხედა მან, მხოლოდ ერთხელ იმ შეხედვით, რომელსაც ნაპალეონი ცეცხლით მონათვლას ეძახდა

პირველად ვკითხე მაშინ სამშობლო ცას სად წავიდა ჩემი ბავშობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხოდ ჩემი კითხვა...

XI.

ყოფნის აღთქმა.

დაფიქრებულხართ როდისმე, რაზე მღერის ქარიშხალი შემოდგომის სუსხიან ღამეს, როცა დახურეთ დარაბები, რომ არ გაიგონოთ მისი ქვითინი, მაგრამ მაინც გესმით სახლის სახურავზე გამხმარი ხეების ტოტების ცეკვა, რომელნიც ჯადოქარ-ქარიშხალს ფერხულში ჩაუბამს?..

დაფიქრებულხართ... გაიგეთ კიდეც, მაგრამ მაინც არ გინდათ რომ გაიგოთ, რადგან ის მღერის იმ ზვიად ველურ ენებაზე, რომელთანაც ჩვენი ენება ბავშობა გამოჩდება. და თქვენ გრცხვენიათ თქვენივე ბავშობისა.

ქარიშხალის სიმღერა გამოძახილია საუკუნოებში დაკარგული რომაელ სარდლის სიმღერისა, რომელიც მოგებულ ომის შემდეგ ფალერნის ღვინის თასსზე ანაკრეონის სიმღერებს მღერის. ალერსის ლოდინში თრთის მხევალი და აქცევს ღვინოს... ქარიშხლის სიმღერა

გამოძახილია ომიდან დაბრუნებული ამორძლების სიმღერისა, რომელთა სისხლით დათქვიერულ ცხენებმა შაფრანის მთვარის სხივები მეწამულ ზეწარში გამოხვიეს.

ქარიშხალის სიმღერა—სუნთქვაა ცოდვის სარეცელზე ვნებით მთორვალე კლეოპატრასი და ურიასტანის მიდამოებში დაკარგული სულამიტის საქმროს ძახილი...

დაუგდეთ ყური. . განა არ გესმით...

შავ-ბნელ ღამეში, როგორ გულმწვავეთ უკივის იაზონს მედეა, იცის რომ შ რს არის მაგრამ მაინც ეძახის, გული ვერ იტევს გრძნობის ნიაღვარს.. შევ-ბნელ ღამეში პონტოფრეს ცოლი ელის ყრმა იოსებს ნილოსის ლერწმებში...

ქარიშხალი აცოცხლებს მითს... წასრულის ზვიადი ვნების სიზმრებით რომ დაათროს ადამიანი

ქარიშხალის ველურ სიმღერაში შენახულია დიონისეს მისტერიები.

დაუგდეთ ყური ქარიშხალს!...

დაივიწყეთ, თქვენივე თავი, საკუთარი და სხვისი შებრალება დაივიწყეთ, ყველაფერი და ყველაფერს გაიგებთ.

მწყემსის სალამურზე უფრო ნაზია, და მთით მომსკდარ ნიაღვარზე მრისხანე, ახალგაზდა ტანში სიცილი სისხლისა.

ღვინო გამოილია ფიალაში და სათნოება დაეტყო სულს.

ყინვამ უსწრო მთებში გაზაფხულის წინამორბედს, მაგრამ აივსო ღვინით ფიალა და გაზაფხულის დღესაწაულზე გვეძახის წინასწარმეტყველი:

ევონ, ოვოე სიგიჟის მოციქულს; გავიხაროთ ჩვენთანაა იგი...,

ქ. ქუთაისი. მაისი. 1913 წ.

ᲥᲐᲠᲝᲡ

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲠᲢᲝ.

ᲡᲔᲠ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

იყავით მარტო თუ გსურთ ამაღლდეთ და გარემოს მწიკვლმა და ტალახმა არ გააბინძუროს თქვენი სიმშვენიერე... იყავით მარტო, ვით დაგვიანებული იალქანი ბინდისას მოარული ლურჯ ზღვაზედ.

თქვენი თვალები ვერას იხილავენ ათას თვალთა შორის, თუ არ სულის სიღრმეში... ჩაღრმავდით და სინათლე დღისა მოიშორეთ სამუდამოთ, რომ მის ავათმყოფობამ არ გადაგადვათ უკურნებელი სენი...

ჩამოწვა ღამე მძიმე კალთებით და ათასმა სულმა იწყო ძებნა მიუწვდომელის... და ვერ პოებდენ მას... ვერც ოდეს იხილავენ თუ არ იქ, რომელსაც ვერვინ მიწვდება გარდა შენისა.

ვისაც გსურთ ამაღლდეთ და მზეს დაუტოლდეთ—იყავით მარტო... ვისაც გსურთ სიდიადე და გრძნეულება—ჩაღრმავდით თქვენს სულში და იყავით მარტო...

მზე სულისა, უცხოველესი ცაზედ მოარულ მზეზედ, გაგათბობთ თქვენ და შეგმოსავთ ვარდის ფერ სხივებით ..

სამყარო თქვენი იყიდის ათას სამყაროს მიწისას და მზე თქვენი დაჩრდილავს მზეს ცისას. სამყარო თქვენი დიდებული იქნება და ვერრა გრიგალი ქვეყნისა ვერ შეარხევს თქვენ ყვავილთა ნაზ ღეროთაც...

ზურმუხტი ღამეები დაბადე შენს სულში და ფერ-შემქრთალი მთვარე გუნდი და გუნდ ვარსკვლავებით...

ყვავილოვანი მდელოები გადიშლებიან იქ და ნიავი ნელი დაუალერსებს დაცვარულ ფოთლებს...

შენს სამთავროს დაათრობენ ღამაზი ტუჩები—უტკბილესი ღვინოსა და თაფლზედ...

ყველა ამას შენ შექმნი სულის სიღრმეში, მოშორებული დღის ავათმყოფ სინათლეს...

ვისაც გსურთ შვება იპოვოთ—იყავით მარტო.

სერ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲕᲐᲘᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲚᲘ!!“

ᲚᲔᲝᲜ ᲫᲘᲐᲩᲔᲚᲘ.

მარტო რომ ვარ, ყოველთვის მოწყენილი ვარ.. დაჯავრიანებული!.. ასე მგონია, თითქო რაც ქვეყანაზე უბედურებაა მე მაწვება თავის საშინელის სიმძიმით და ცუდს ყოფას განმაცდევინებს!.. რა თქმა უნდა, ჩემი ფიქრები მაშინ „შავად მღელვარებენ“, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე ასეთს შემთხვევაში!.. ჩემდა დაუკითხავად მიკაკუნებენ თავში ისეთი კითხვები, რომლების გადაჭრა, ვიცი, შეუძლებელია და რომლებზედაც კაცობრიობას გარკვეული პასუხი ვერ მიუცია.

— რა არის ცხოვრება?

— რა არის კაცი?..

თუმცა უნდა აღვიარო, რომ ბევრისაგან გამიგონია ბრძნული აზრები ასეთი კითხვების შესახებ. ზოგი შეიძლება, მართალიც იყოს, მაგრამ... ჩემდა საუბედუროდ ჩემთვის კითხვა მაინც კითხვად რჩება!. ისიც გამიგონია, რომ ასეთ ნაირად კითხვის დასმა შეუძლებელიაო, არა მეცნიერულიო და როგორც ასეთი საღად მოაზროვნე „ხალხის“ მიერ უარყოფილიცო, მაგრამ... აკი ვსთქვი, ჩემდა დაუკითხავად დამიკაკუნებენ მეთქი ეს კითხვები!! ჭეშმარიტად, მარტოდ დარჩენა ხელსაყრელი არ არის ჩემთვის... ასეთ დროს მიხელებენ ხოლმე „შავი ფიქრები“ და, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ტყავს მაძრობენ!! ამიტომაც ხშირად ვსეირნობ ქალაქის ბაღში, სადაც მუდამ დადის ხალხი... სადაც ხშირად მუსიკასაც კი უკრავენ!.. განსაკუთრებით ბავშები იქცევენ ჩემს ყურადღებას. ბაღის ერთი კუთხე ამათ აქვთ დასაკუთრებული!.

მე თავისუფლად დაველაპარაკები ბავშვებს, როცა მინდა. ისინიც ყოველთვის უბრალოდ და პირდაპირ მომიგებენ ხოლმე... საქმე ისაა, რომ არც მე მჭირდება გაცნობა, ქუდის მოხდით და ბოდიშით მიმართვა და ათასი ასეთი რამე, ურომლოთ დიდები უზდელად მომნათლავენ, არც ბავშვები შეწუხდებიან და ყოველ სიტყვაზე დაფიქრდებიან, რასაც დიდებში ვერ შეხვდებით... ცნობილია, რომ დიდები თითქმის ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ სხვანაირად მოგაჩვენონ თავი, ამისთვის ზოგიერთს წინდაწინ აქვს მოფიქრებული ყოველშემთხვევისათვის სიტყვა-პასუხი, ზოგიერთს კი მოფიქრებაც არ სჭირდება,—ბუნებად აქვს გადაქცეული თავის სხვანაირად მოჩვენება!.. ᲰᲔᲔᲮ! ეს „დიდები“!.. ეს „დიდები!“ რატომ არის, რომ ბავში—ეს თვით შვენება, ეს სულიერი და ხორციელი სილამაზე—თავის წარმტაცი და მომჯადოებელი წმინდა ბუნებით სრულიად ისპობა „დიდში“?? ყოველი დიდი ერთ დროს ხომ ბავშვი იყო?!. და მერე ნეტავ რად იცვლება ასე სასტიკად ადამიანი!?

ქალაქის ბაღში ერთს დღეს სრულიად მოულოდნელად შევხვდი ლიზას... დიდი ხანია რაც მე იგი არ მინახავს. ბავშვობისას კი მეგობრები ვიყავით. უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. წმინდა, უმანკო სიყვარულით გვიყვარდა, ერთიმეორე. ლიზა ლამაზი იყო და მეტად ცოცხალი არსება. მისი ფართო თვალები მე ყოველთვის განწმენდილ ცის ლაჟვარდს მომაგონებდენ... ლიზას თვალთა მზერა ჩემზე ისე მოქმედებდა, როგორც უსაზღვრო ლაჟვარდი შებინდებისას... იგივე მოუნდობლობა, უძირ-კედლობა, იგივ ახლობა, ნაზ-ალერსობა და იგივ გამოურკვეველ შორს გამფრენ ფიქრთა აღძრა!! ღვთაება იყო ლიზა... მერმეც, როცა ლიზას დავშორდი, არა ერთხელ მიფიქრია, რომ ლიზა ყოველ კაცისთვის უშრეტი წყარო იქნებოდა ბედნიერებისა!.. შურიც აღმეძრებოდა ხოლმე და გავიფიქრებდი:—ნეტავი მას, უბადლო ბედნიერს ვისაც შეიყვარებს ლიზა მეთქი!

როცა ახლა დავინახე ლიზა ბაღის სწორეთ იმ კუთხეში, სადაც განსაკუთრებით ბავშები თამაშობენ, თავში გამიელვა:—სწორედ, ლიზა სწორედ აქ უნდა სეირნობდეს! აქ, სადაც ბავშებია, სადაც უბრალოობაა და სადაც დიდების ათას ბოროტეულებას ადგილი არა აქვს!

— ნუ თუ შენ ხარ, ლიზა!?

— დედა ჩემო!.. იპოლიტ!.. ჩემი იპოლიტ!

ვიცოდი, რომ ლიზა მაღალი არ გაიზდებოდა!. მას ბავშური სახე შერჩენოდა თითქმის უცვლელად!. თვალები იგივენი სრულიად იგივენი, მხოლოდ საღამოს ფერი ლანდს უფრო კიდე გაეღრმავებია ისინი!.. ისევ ის ბავშური ღიმილი, რომელიც მაისის მხიარულ განთიადისებრ ციალობს ხოლმე!.. ხელზე ვაკოცე ლიზას.

— სად დაიკარგე, რომ არსად სჩანდი, იპოლიტ!

— ამას მერე, მერე გეტყვი, ლიზა! შენ რასა შვები? როგორ ხარ? . ისევ ის ლიზა ხარ?

— ისევ, ისევ! მიუხედავად იმისა, რომ დავქმარშვილდი!! აი, დამაცა, იპოლიტ, ჩემს ქალიშვილს გაჩვენებ... უკვე სამი წლისაა!.. აქ დამყავს სასეირ-

ნოდ!...—მიპასუხა ლიზამ და ბავშს მიმართა:—ცაცუნია!.. მოდი ჩემთან! მოდი შენ გენაცვალე!.. მოდი ძიას განახებ!.

ამ სიტყვებით ლიზა თითონ მივიდა ბავშების ერთ ჯგუფთან და ერთი თეთრში ლამაზად გამოწყობილი ბავშვი ჩემსკენ წამოიყვანა...

ცაცუნია, რომლის სახემ პირველ შეხედვისთანავე მე დედა მისის ბავშვობა მომაგონა, ხელზე ავიყვანე და შუბლზე ვეამბორე.

— ხომ ბედნიერი ხარ, ლიზა!. ხომ კარგად ხარ?

— არა უშავს რა!.. კმაყოფილი ვარ... რამდენად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ადამიანის კმაყოფილება!... ლიზა ჩვეულებრივი, ბავშური გულუბრყვილობით ლაპარაკობდა. მე დავასკვენი, რომ ლიზა ბედნიერი და კმაყოფილი იყო.

— ქმარი?.. ვინ არის, ლიზა შენი ქმარი!?

— ჩემი ქმარი, იპოლიტ, რკინის გზაზე მსახურობს!.. კონტროლიორია!. დროებით, რა თქმა უნდა... მალე სახელმწიფო ეგზამენის ჩასაბარებლად წავა რუსეთში!!

ჰმჰმ... მაშ, კმაყოფილი ხარ, კმაყოფილი?!.. დიდად სასიამოვნოა, ჩემო ლიზა!.. შენი მშობლები?..

ლიზა, ცაცუნია და მე ერთად წამოვედით ბაღის გასავალ კარებისკენ. მე კითხვას კითხვაზე ვუსვამდი ჩემს ძველს ბავშობის მეგობარს. ისიც სხარტულად მიპასუხებდა. ცაცუნია კი მიმზერდა თავის უმანკო ნათელი თვალებით, რომლებიც ერთობ წაგავდნენ დედისას.

ლიზამ მე თავისას მიმიპატიჟა.

ლიზას ბინა ოთხი ოთახიდან შედგებოდა. ერთი მათგანი გაექირავებინა ცოლქმარს. მდგმური ახალგაზდა კაცი იყო, სადღაც კერძო დაწესებულებაში მოსამსახურე, მაღალი, ბეჭებში ფართო და ენერგიული სახის პატრონი. როცა ჩვენ სახლში შევედით, ის ზალაში იჯდა და სქელს შეკინძულს ჟურნალს ათვალიერებდა. ულვაშები აწეული ქონდა და ახლად გაპარსულ პირის სახეზე უმარილი წაეცხო... ის შინაურულად იყო მოწყობილი. ჩვენს დანახვაზე ის ღიმილით ადგა, ბოდიში მოიხადა ლიზას წინაშე, რომ მის ნებადაურთველად შესულიყო ზალაში. ლიზამ ჩვენ ერთიმეორე გაგვაცნო, რის შემდეგ მდგმურმა ცაცუნიას გაუცინა, წაუფათუნა ხელი ლოყაზე და თავის მორიდებულის და დაბალის დაკვრით ბოდიშით გავიდა ზალიდან თავის ოთახში.

ლიზას ბინა უბრალოდ, მაგრამ ლამაზად ქონდა მოწყობილი... ზალის ერთ კუთხეში დაქირავებული როიალი იდგა. კედელზე დიდი სარკე ეკიდა. სარკეს წინ კი სპარსული ნოხი იყო დაგებული.

ლიზა მალე გაიჭრა მეორე ოთახში. მითხრა ახლავე ჩაის დავამზადებინებო. „ჩემი ვასიკოც მალე დაბრუნდებაო და საღამო ერთად გავატაროთო!!“

მე სურათებს დავუწყე თვალიერება. ჟურნალებს გადავხედე.. გულში რაღაცა მიხაროდა... მიხაროდა რომ ცხოვრება არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც მე მქონდა წარმოდგენილი.—ლიზა, ცაცუნია და „ლიზას ვასიკო“ ისე მოქმედობდენ ჩემზე, რომ დამავიწყდა შავი ფიქრები და ტკბილ განცდათ მივეცი თავი.

ცოტა დაგვიანებით დაბრუნდა ლიზა. მას შინაური ტანსაცმელი ჩაეცვა. ლიზა იმ ქალებს ეკუთვნოდა, რომელთან შინაურულად, უბრალოდ გამოწყობა უფრო უხდებათ.

საღამო იყო. დალეული დღე ძლივს შლიდა ფრთებს. ლიზა და მე გაღებულ ფანჯარასთან დავსხედით. ლიზა თავის ვასიკოს სურათებს მიჩვენებდა. მე შევნატროდი სანდო და კეთილშობლური სახის ახალგაზდას, რომელიც მრავალ რიგად იყო გადაღებული. სჩანდა, ლიზას გატაცებით უყვარდა ქმარი.

ჩვენს შორის ლაპარაკი კიდე არ იყო გაბმული, რომ მეზობელ ოთახიდან დაბალი, მაგრამ საამო ხმა გაისმა. ეს მდგმური მღეროდა რუსულს რომანსს:

Еще одна моя мечтааа,—
Расцѣловать твои устааа!..

— ოჰ, რომ იცოდე, იპოლიტ, როგორ მომაბეზრა ამ კაცმა თავი!.—გაჯავრებით და შესამჩნევად სახეზე შეწითლებით სთქვა ლიზამ სიმღერის გაგონებაზე.— რამდენჯერ უთხარი ვასიკოს, ახლა არ გვჭირია მდგმური მეთქი, მაგრამ ის ისეთი კაცია, რომ ყოველთვის ერიდება სხვის შეწუხებას!!

— კარგი ხმა აქვს!! შევნიშე ლიზას.

— სულ ამას მღერის, ყმაწვილო!. ხშირად როიალზედაც უკრავს!. ისედაც... ესეც რომ არ იყოს... მე არ მინდა სხვა იდგეს ოჯახში!. ღვთით ვასიკო ახლა საკმაოდ შოულობს!!

— კი, მაგრამ, შენი ვასიკო როდის დაბრუნდება, ლაზა?.. მე მისი ნიხვა ძალიან მინდა!

— აი, უნდა მოვიღეს სადაც არის!.. თუ ცხრა საათს გადააცილა, შემდეგ შეიძლება ძალიან გვიან დაბრუნდეს, ან დილამდის... არ მოვიდეს!.. ამ მხრით მეტის მეტი ცუდი სამსახურია!

... Мечты мои-и-и...
Уста твои-и-и!..

დაიღიღინა კვლავ მდგმურმა...

— Какой онъ противный! — ყურის ცქვეტით სთქვა ლიზამ. ჩვენი თუ არა, სტუმრების მაინც ერიდებოდეს!.. მეზარება მაგისთანა კაცები!.. ჭკუა მჩატეა უბედური!!

ჩაიზე მიგვიწვია მოსამსახურე გოგომ. ჩვენ გავედით სასადილო ოთახში. იქ უკვე ლამპა ენთო.

— სთხოვე მდგმურს ჩაი მიირთვას — უბრძანა ლიზამ გოგოს. ჩვენ დავსხედით. ცოტა ხნის შემდეგ კოხტად გამოწყობილი ჩვენი ნაცნობი მდგმური მოღიმარი სახით შემოვიდა. ის გადამეტებულად მორიდებიანი იყო და თვალებს ძირს ხრიდა, რომ ჩვენთვის არ გაესწორებია.

— დაბრძანდით! — მიმართა მას ლიზამ...

მალე მე და ლიზამ საუბარი გავაჩაღეთ. განსაკუთრებით ჩვენს წასრულს ვიგონებდით. მდგმური იჯდა ჩუმად. ცალი ყბით იღიმოდა და ჩვენს საუბარში არ ერეოდა. მე შევნიშნე, რომ ის მეტის მეტი ზდილობიანი თავდაჭერილი, და მორცხვი კაცი იყო...

მეათე საათი სრულდებოდა და ვასიკო კი არ ჩანდა. მე შევწუხდი, მაგრამ ლიზა მარწმუნებდა, რომ ვასიკო მოვიდოდა.

მეთერთმეტე საათზე მდგმურმა ცალი ყბითაც მიატოვა ღიმილი და შესამჩნევად შეიკრა სახე. ლიზა კი განუწყვეტელად ჟღურტულობდა. რამდენს გულუბრყვილობას, ჩემდამი სათნოებათ დამოკიდებულებას იჩენდა იგი!..

„სწორედ, ჯერ კიდე ბავშია ლიზა!!. ისევ ბავში!!“ — ვფიქრობდი გულში და ჯერ კიდე ჩემი უცნობი ვასიკოს ბედნიერებით ვბედნიერდებოდი.

ბოლოს რა კი ვასიკო არ მოვიდა, წასვლა განვიზრახე. ლიზამ არ გამიშვა. ჩემი განცხადება წასვლის შესახებ პირდაპირ შეიწამა ლიზამ.

— ამაღამ უნდა დარჩე ჩვენსას!.. დილით, ვასიკოს რომ გაეცნობი, წახვალ!.. მით უმეტეს სადაც არის შუა ღამეა და შენც ცოტა შორს სდგახარ!

მდგურს მოუთმენლობა დაეტყო. ის შეუწყვეტლად ამგვრალებდა პურის გულს მარცვლებათ. ალბათ თავის ოთახში უნდოდა გასვლა და მოსვენება, ხოლო მორცხვობის გამო ამას ვერ ახერხებდა. დასასრულ ლიზამ დამარწმუნა, რომ ჩემი წასვლა ვასიკოს ეწყინებოდა, და მეც დავრჩი.

მდგური ადგა ბოდიში მოითხოვა. მძიმედ დაგვიკრა თავი და გივიდა. . ის უსათუოდ შეწუხებული იყო.

„იქნება ხვალ შვიდ საათზე აქვს ასადგომი! საქმის კაცია!“ გავიფიქრე!

— ამდენ ხანს ვერ მოიფიქრა წასვლა?!. რა იყო, მუნჯივით, რომ იჯდა, შენი ჭირიმე!! — ჩუმად მითხრა ლიზამ. სწორედ ისე, თითქო ბავშვობის დროს დაგვბრუნებოდა...

კიდე ცოტა ხანს ვისაუბრეთ და ლიზამ განკარგულება მოახდინა ჩემთვის ზალაში დაეგოთ...

(შემდეგი იქნება.)

ტყვე.

ზალვა დადიანი.

სალამურის ხმა ნაზათ იბნეოდა მთის მსუბუქ ჰაერში.

ნიავის უბიწო, უხილავი ლეჩაქი საამურ ზოლებათ დაქრიალებდა ბაღნარ მთის ფერდოებს, ტურფა ველ-მინდორს.

ბუჩქნართან ამოსული რაღაც მაღალ ღეროიანი ყვავილი ნარნარათ წელში ირხეოდა და თითქო თავი მოწონდა, როგორც ახალგაზდა, წერწეტი ტანის ქალწულს.

მისი ძლივ საგრძნობელი სურნელება, ნიავის სარეცელზე გაწოლილი, ქრებოდა ცის ეთერში.

და თავისებურათ ნეტარებდა ეს არე-მარე.

ნეტარებდა მარტივათ და ბუნებრივათ.

ეგრევე მარტივი იყო სალამურის კილოვნება, კაცის გრძნობით შეთამაშებული და ლერწმის ტანით ათრთოლებული.

მისი გამონაკვნესი მხოლოდ დაუკმაყოფილებელი მწყემსის სიყვარული იყო, მისი გამონასტვენი — ბუნების მშვენიერების წინაშე განცვიფრებული თავდახრა.

თიკო და ზურაბი მიუყვებოდენ აღმართ-აღმართ.

თიკოს მაღალი ტანი ლურჯ სივრცეში თეთრად ნაკვთიერდებოდა.

ზურაბი შეჩვეული იყო ამ ტანს, მის ყოველივე სანდომიან მიმოხრილობას... მხოლოდ თვალებით.

გულით და გრძნობით, ნდომით და სურვილით კი ჯერ ისევ იბნიდებოდა ამავ ტანის შორეულობით.

მიუღწევნელობის ტკბილი და მწველი სახმილი ჯერ კიდევ ვერ ჩაექრო.

ამაყათ მიემართებოდა თიკო წავაკებულ მთის ფერდობზე. მისი მკვრივი გულ-მკერდი ლაღათ და ჟინიანათ მიაპობდა ჰაერს, თითქო გრძნობდა ძალას საუცხოვოს მისი სიყმაწვილისას, ქალწულებრივ დამოუკიდებლობას მისი სხეულისას.

ცხოვრების ფოლადის ფრთა ეტყობოდა არ მოხვედროდა უცხო ქანდაკებასავით ჩამოსხმულ მის მხარ-მკლავსა.

იყო ზვიადი მისი წინ-სვლა, იყო დედოფლური მისი მიხვრა-მოხვრა.

ზურაბსა და თიკოს ქვემოთ კიდევ მოდიოდენ ადამიანები: დედა თიკოსი ხნიერი და სახიერი ელისაბედი, ფაცია და ციფალუქი თიკოს ახალგაზდა ამხანაგი ქალები, სანდრო და იასონ ახალგაზდა ყმაწვილები და ტიტიკო, ჩოფურა, ჯმუხი ვაჟკაცი უბრალო შავის ხალათით და ჭილოფის ქუდით გამოწყობილი.

ესენი ყველა ქალაქიდან გამოქცეულნი იყვენ. ქალაქის სიცხისაგან, ქალაქის მტვერისაგან.

აგარაკათ იყვენ ამ მთის ფერდობზე შეფენილ სოფელში.

ტიტიკოს ჯმუხ და ჩოფურა სახეს ეტყობოდა უკმაყოფილება.

იგი გაჩუმებული ბოროტის სიჩუმითა, ნაწყენი მოადგამდა მის მტკიცე, მაგრამ ჟინიანურს ნაბიჯს.

— აი, ბ. ტიტიკო, ხომ კარგია აქა?.. ჩუ, გესმით სალამური?—უთხრა მას ფაციამ.

ტიტიკო ჩუმათ იყო, მხოლოდ მის თვალებში ცუდმა ნაპწკიალმა გაიელვა.

— ტყუილა არ გინდოდათ წამოსვლა!—დაიწყო ეხლა ციფალუქმა—გრილა, ნიავია... მოდი აქ ჩამოვსხდეთ, ბ. ელისაბედ!

— ჰო, მართლაც დავიღალე!—ქშენით წარმოსთქვა ხნიერმა ელისაბედმა და იქვე მაღლა აყუდებულ და ფართო შტოებიან წიფელის ქვეშ ოხვრით ჩამოჯდა.

ახალგაზდობაც მილაგდა ხის ძირში.

— თიკო და ზურაბი რომ გაგვექცენ?—შეიკვირვა იასონმა.

— წავიდენ! ისინი პოეტები არიან!—უპასუხა სანდრომ.

— დაიცათ, სალამური!—გააჩუმა ყველა ფაციამ.

და ყველანი მიეცენ სიჩუმეს.

* * *

მზე უკვე გადიხარა.

უკან ცამდე აზნექილი, ბუმბერაზი მთა, თითქოს სასირცხო რამ სურვილით მზისგან უკანასკნელათ გაწითლებული, ჩაყლაპვას უპირებდა ამაყ მზეს.

ქვევით კი, შორს, ლურჯ-ყვითლათ მობიბინე ყანები ერთხელ კიდევ ცდილობდენ მათი ფართოთ გადაშლილი ზურგი მოექარგნათ მზის ოქრო-მკედით.

შორეულმა მდინარემ კი უკვე მოიბურა საღამური, ლურჯი პირ-ბადე.

სალამური შესწყდა.

ცხვარი ჩაიშალა ფერდობში.

გვანდა თითქო მთის თეთრი ქვები ამოძრავდენ და ნელის გოგმანით მიგორავენ თავდაღმართში.

ჰაერში განსასვენებელი, რაღაც იდუმალი ჰარმონია გაიბნა.

ხის ძირში მსხდომნი ყველა თავის ფიქრს მოეცვა:

— ელისაბედი ჩაჰყურებდა ქვევით სოფელს და ამ საღამოს ზეიმში მას თავისი წარსული თვალთა წინ ეფინებოდა. აი შორს, ყანებს იქით პაწია გორაკზე, მამა-მისის ძველი, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი. მამა დიდი ხანია აღარ არის იქ. წავიდა უკეთესს ქვეყანაში... ეხლა იმ სახლში მისი უმცროსი ძმაა, ესტატე—ღვდელი... ცოლ-შვილით დატვირთული, მოვალეობით დამძიმებული. საცოდავი! პირველ ხანათ კარგათ მიუდიოდა ესტატეს საქმე, მაგრამ ამ მოძრაობის შემდეგ... მართალია ცოტა გამოკეთდა, მაინც ის აღარ არის, რაც იყო... არც იმდენი შემოსავალი, არც იმდენი პატივის ცემა სოფლისაგან. სასულიერო მთავრობაც, რომ ყურადღებას არ აქცევს?... ესტატე ღირსეული მღვდელია, ნასწავლი, სემინარიელი... მაგრამ აქამდის ბლაღოჩინობა მაინც არ მიუციათ, ისევ იმ მაბეზღარს ყრუაშვილსა აქვს... ფოფოდიამაც ხომ, ჩემმა რძალმა, გააჭირვა საქმე. სული ამოართვა, სული საწყალ ესტატეს... მისი ჭირიმე!.. მერე რა კაცია, რა კარგი, რა სათნო... ბავშობაშიაც...ოო, რამდენი ტკბილი წამები მახსოვს იქ, იმ გორაკზე... საწყალი მამა!.. დამსახურებული დეკანოზი... მთელს საეკსარხოსოში ისეთი დაჯილდოვებული არავინ იყო... ეკსარხოს ისიდორედან მოყოლებული ყველასაგან პატივცემული იყო... ჩვენ შვილებიც ღირსეულათ აღგვზარდა. ესტატე სემინარიაში იყო, მე კიდევ ეპარქიალურში... ჰმ... რა მშვენიერი იყო ეს ხანა... მახსოვს, სამღვთო სჯულის მასწავლებელი რუსი—მღვდელი... ქრისტეს სახე ჰქონდა... რა თვალები!.. ღმერთო, ღმერთო! ლამის ამ თვალებისთვის მონაზვნათ არ წავედი... საბრალო დედ-მამა! რამდენი აღელვება განიცადეს მაშინ... ძლივს გადამათქმევინეს მონაზნობა... იმ მღვდლის წირვაზე აღტაცებით მივდიო-

დით ხოლმე ეპარქიალისტკები... მუხლ-მოდრეკილნი, თავდახრილნი ცხარე ცრემლათ ვირღვნებოდით... რა გვატირებდა?!. არა, ნამდვილათ გვიყვარდა, შეყვარებულნი ვიყავით... ჰა, ჰა! მხოლოდ ერთი მეორეს არ ვუმხელდით, ყველა ღვთის მოსაობას ვეფარებოდით... მხოლოდ, როდესაც ქადაგებას დაიწყებდა!.. ღმერთო, რა მემართებოდა... არა, ეს რაღაც ღვთიური ამაღლება იყო... სწორეთ! თუმცა შემდეგ, მონაქცევზე, როდესაც გავიგეთ ამ მღვდლის ისეთივე ბიწიერება, როგორც სხვებისა ო...ო, რა საშინელი იყო ჩემი ტანჯვა, ჩემი სირცხვილი... მაგრამ რათ არის, რომ ეხლაც კი ის პირველი გატაცების წუთები ჩემს ბებერ გულს ეგრე ხუთავს და ეგრე ტკბილის ტკივალით კუმშავსა და შლის... თუ საზოგადოთ წარსული ტკბილი მოსაგონარია... მაგრამ არა! — საწყალი ელიზბარ, ჩემი ქმარი!.. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს... ბევრი ტკბილი დღეები უჩვენებია ჩემთვის, მაგრამ... ღმერთო შეგცოდე... მე არ ვიყავი კმაყოფილი მასთან ცხოვრებით... არც არაფრათ მახსენდება... ჰმ... პირველათ რომ მოვიდა, მასწავლებლათ ვიყავი მაშინ... მამა როგორ მარიგებდა: „შვილო, მდიდარი კაცია, ნუ უგულებელს ჰყოფო! მართალია ვაჭარი კაცია, მაგრამ ისეთი არ გეგონოს ჩვენს დაბაში რომ არიან, ეგ ნასწავლია, ევროპიულათ განათლებული ვაჭარი... ეგ სულ სხვაა! მართალია ცოტა ხნიერიც არის, შეჭაღარავებული“... ორმოდაათი წლის იყო მაშინ... „მაინც, შვილო, მაგასთან ბედნიერი ცხოვრება გექმნებაო!“... მეც ვერა გავბედე-რა... მეტათ მიყვარდა მამა ჩემი... მორჩილი შვილი ვიყავ... რა იყო შემდეგ ჩემი ცხოვრება?.. რამდენჯერ ჩავფიქრებულვარ, რამდენჯერ მიტირნია?.. საწყალი ელიზბარი სულ თავს მევლებოდა... გულის გავლა იყო საბრალო!.. უბრალო ჩემი ჟინიც კი აუსრულებელი არ დარჩენია... პეტერბურგიც კი მაჩვენა, საუკეთესო კურორტებიც არ დაუკლია... მაგრამ, ღმერთო, რათ იყო ჩემი გული მაინც ცალიერი?.. არა, არასოდეს არ მიღალატნია... მხოლოთ სურვილი და ნდომა მაინც მისკენ არასოდეს არ მიზიდავდა... მუდამ განზე, სხვისკენ გაიყურებოდა... მხოლოთ ეს სხვა არასოდეს არ ხორცშესხმულა... ის იყო მხოლოთ ჩემს გულში, გრძნობაში... ეს მანამდე, სანამ თიკო არ მეყოლა... ვენაცვალე!.. აქ კი დასრულდა ყოველივე... აღარც სხვა და აღარც საბრალო ელიზბარი... თიკომ ჩანთქა ჩემი არსება... მე ეხლა ვერც კი გამომიცვნია თიკო მე ვარ თუ... რომელია? ვიღამაც მითხრა ესეთი სიყვარული არ შეიძლება...ო, რა გავბრაზდი!.. რა იცის იმ სულელმა თუ რა არის დედის გული!.. ჩემი თიკო, ჩემი ამაყი, ჩემი გოროზი თიკო...

ელისაბედმა თითქო შეშინებულმა მიიხედა იქით, საითაც ზურაბ და თიკო იყვენ წასულნი, მაგრამ ერთი ამოიოხრა და თითქო ისევ დაუბრუნდა თავის ფიქრებს.

სულ სხვა იყო მიზეზი ახალგაზდა ციფალუქის ფიქრებისა: მან ერთ ხანს უგდო ყური სალამურის ნარნარ ბგერას და იასონის თვალებისაკენ გაიწია მისმა ნდომამ. ახალგაზდა ქალის გულსა და გრძნობაში იბმებოდა ისეთი ნაზი სიმთა ხლართი, რომლის ერთი გახმაურება უსათუოთ იასონის გულის ძგერას უნდა შეხმატკბილებოდა და ეს შეგნება ტკბილ ნაკადულივით უვლიდა თეთრ და ბრკიალა კან ქვეშ ლურჯათ გამოჩენილ მფეთქავ ძარღვებს.

იასონს კი შიშველი თავი მიეშვირა ცელქ ნიავისთვის და ციფალუქის ნაზათ, მომხიბლველათ მღელვარე გულ-მკერდს ჩასცქერებოდა.

აქ ერთხელ კიდევ ბუნების საიდუმლოება ტრფიალების ბადესა შლიდა.

ფაცია კი იჯდა გარინდებული და მის მოკუმულ ტუჩებს, ნატიფს, მაგრამ უკმეხ სახეს მიუკარებლობა წარწერილივით გამოეფინა.

სანდრო ცოტა მოშორებით გულ-აღმა ბალახზე მიწოლილიყო და იმაზე ფიქრობდა, თუ ყველა აქ მყოფი როგორ სხვადასხვა ნაირათ განიცდიდა ბუნების სანახაობას, რომ ყველასათვის სათითეულოთ ეს სანახავი სხვადასხვა იყო, სხვადასხვა გვარ საგრძნობი და განსაცდელი. სანდრომ იგრძნო, რომ აქ ყველა უცხო იყო ერთი მეორისა; რომ თითოეული მათგანი იყო განსხვავებული, დამოუკიდებელი ერთი მეორეზე; რომ მათ თითქმის საერთო არა ქონდათ-რა. და საერთო ‘ხოლოთ იმიტომ კი არა, რომ თითოეულს მათგანს თავისი ან ვარამი ქონდა ან ლხენა, არამედ იმითიც, რომ ამ მწუხრად განმზადებულ, ლაღ ბუნებისაც სხვადასხვა გვარ ესმოდა თიროეულ მათგანს.

სანდრომ ციფალუქსა და იასონს თვალი გადაავლო:

— აი, შეიძლება ამათი განცდა კი ერთ-გვარი იყოს. მაგრამ ამათ ხომ ერთი მეორისადმი ლტოლვა აერთებთ, შეიძლება უკვე ჩასახული სიყვარულიც... ო, სიყვარულმა კი ძილიან შეერთება იცის... აი, ამისი კი არ ვიცი... აქ შეიძლება ცოტა მოიკოჭლოს ჩემმა თეორიამ. ისე კი ყველანი სხვა გვარ განიცდიან. ერთი მეორეზე განსხვავებულათ...

ამ უკანასკნელ სიტყვებს ხაზი გაუსვა სანდრომ

თავის გონებაში და საკვირველი სიამოვნება იგრძნო, თითქო ახალი რამ აღმოაჩინაო.

აქ კი შეწყდა მისი ფიქრთა ჯარი და გულ-ალმა მყოფი წამოჯდა. მისი ყურადღება ტიტიკომ მიიქცია. ტიტიკო უკვე მჭერმეტყველობდა.

(შემდეგი იქნება).

ორი სიტყვა რედაქციისა.

საქართველოში წმინდა ხელოვნური ჟურნალი ვერ იარსებებს, მას ჩვენში ნიადაგი არ აქვსო--ეი ის სიტყვები რომელიც გვესმოდა ჩვენ იმ პირთა უმრავლესობიდან, რომელთაც ჩვენი ჟურნალის დაარსების განზრახვა გავუმჟღავნეთ.

ამგვარი გაფრთხილება, სჩანს, უნდა მიგველო მხედველობაში და ჟურნალის დაარსებაზე ფიქრიც უნდა დაგვეიწყებია, მაგრამ გრძნობა იმისი, რომ ჩვენი დაწყებული საქმე, ცოტათი მაინც შესძლებს იმ საკითხების გამორკვევას რომელთაც უნდა გადაწყვიტონ ბედი თანამედროვე ჩვენი ხელოვნებისა, უფრო მაღალი და ძლიერი გამოჩნდა შედარებით შიშთან.

ჩვენ არ შეგვიძლია გავჩუმდეთ როდესაც ვხედავთ რომ ჩვენი ქვეყანა თან და თან სცილდება ხელოვნებას, მთელი მისი გრძნობა-გონება საზოგადოებრივ კითხვებს შეუბოჭავს და იმათ იქით მისთვის თითქმის ყველაფერი ზედ მეტია...

მაშინ როდესაც რომელიმე დაწესებულობის ფულით უმაღლეს სასწავლებელში მოკალთავებულა ხშირათ უნიჭო,უზნეო სტუდენტი,იურიდიულ ან მედიკურ ფაკულტეტისა,ჩვენს ქალაქებში ნიჭიერი ახალგაზდა პოეტს, ქუჩაზე ვერ გაუვლია იმის შიშით რომ აგერ-აგერ ხელს სტაცებს იაფ ფასიან სასადილო დუქნის პატრონი და დარჩენილ სადილის ფულს მოსთხოვს. მწერალი, რომლის ნიჭი ყველასაგან აღნიშნულია, სიბერემდის და შეიძლება სიკვდილამდისაც ვერ ხილულობს თავის ნაწერების გამოცემას. ღარიბი ახალგაზდა რომელსაც იტაცებს ხატვის სიყვარული, იჩენს ხატვაში უნარს, პლაკატების მხატვრის მოწაფეობით უნდა დაკმაყოფილდეს.

ჩვენი მსახიობი, გარემოებით შეზღუდული, ჩვენს სცენას სცილდება და სხვაგან იჩენს თავის ნიჭს, სხვაგან აფრთოვანებს თავის ოცნებას.

და რამდენი სხვა უკულმართი მოვლენა.

დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ მძლავრ სიახლეს ჩვენში ხელოვნების აყვავებისას, როდესაც ვგრძნობთ რომ ჩვენი ხელოვნება დღითი-დღე იმატებს და იზრდება, ჩქვენ გვინდა თამამათ ვთქვათ: ვემსახურებით ჩვენს დასახულ მიზანს, ერთი წუთითაც არ უღალატებთ მას სანამდის სულ არ მოგვსპობს საზოგადოების გულცოობა.

და თუ ჩვენს ცდას, სურვილს ჩვენი მოვალეობის ასრულებისას, ერთხელიც არ გაუღიმებს ბედი, მაშინ დავრწმუნდეთ ერთხელ და სამუდამოთ რომ თანამედროვე ქართველი საზოგადოება სასაფლაოქვას ადებს „თანამედროვე საქართველოს“.

შოთა რუსთაველი.

რუსთაველის ძეგლი დრომ ააშენა და დროვე იცავს მას თავის საუკუნოებით.

ბინძურებმა ვერ შეახონ ხელი მის სიდიადეს, ბრბო შიშით ძრწოდეს მისი სიმძლავრის წინაშე, ბუნების ნიაღვარმაც ვერ გადალეკოს, ვერც მიწამ შთანთქას ცამდე ასული.

ჩვენს სევდით მოცულ ყოფნას აცისკროვნებს მისი ცეცხლის სული, მის სამშობლოს არსებასთან შედუღებული.

ჟამს ჟამი სტაცებს იმის სიტყვას ხალხში აღმერთებს, იდუმალი ძალა იმის კალმისა გვიხატავს ჯერ კიდევ არ ნახულ დღეს.

სიყვარული მისი ყოველ გრძნობას აღემატება, სილამაზე მისი ჯერ ბუნებაშიც უნახავია, რუსთაველის ადამიანი ჩვენ სნეულ საუკუნოსათვის ზღაპრული არსებაა. მან იცოდა ყვავილთა ენა, ცის საიდუმლოება, ის იყო მზისა და მთვარის მეგობარი.

იგი უდგამდა სულს ქვათა და ხეთ, ვით ჯადოსნური ჰანგი ორთოფოსის ციური ქნარისა.

რვა საუკუნე გვაშორებს ჩვენი ხელოვნების ქურუმს და რაც წინ მიდის დრო მით უფრო საყვარელია ჩვენთვის საიდუმლოება მისი ენისა.

ბედმა რომ მოსპობა გვარგუნოს, და ყოველივე ჩვენი დავკარგოთ ჟამისაგან შექმნილი ძეგლი მისი მაინც შეურყეველად დარჩება, ვერა რა დაანგრევს მას.

და რა უნდა იყოს იმაზე სანეტარო რომ დღეს ქართველებს სურთ სული ჩაუდგან ამ ბუნებრივათ გამოსახულ ძეგლს.

ამ დიადმა სურვილმა უნდა შეაერთოს მთელი საქართველო ერთის ფიქრით ერთის გრძნობით.

—დიადი ხელოვნური ძეგლი დიად ხელოვანს.

ჩვენ უკვე ვიცით რომ თბილისში დაარსდა „რუსთაველის საზოგადოება“. საზოგადოების მიზანია ყოველნაირათ ხელი შეუწყოს ხალხში ჩვენი დიდი მგოსნის უკვდავ პოემის გავრცელებას და საზოგადოთ მის შესწავლას. ამგვარ საზოგადოების დაარსების დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც მეტია, ყველა ვგრძნობთ მისს სარგებლობას. აქ გვინდა მხოლოდ ვთქვათ რომ აუცილებელი საჭიროებაა ქუთაისშიც ამგვარი საზოგადოების დაარსებისა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რა თქმა ვერ შესძლებენ თბილისის საზოგადოების მიბაძვას, რადგან „ვეფხვის ტყაოსნის“ შესასწავლათ სპეციალური ცოდნა არის საჭირო, მაგრამ ქუთაისისთვის ეს არ იქნება საძნელო, რადგან ჩვენ ქალაქში ბევრი მოიპოება უკვდავ პოემის კარგი მცოდნე.

სასურველია რომ თბილისის საზოგადოებამ გახსნას ქუთაისში განყოფილება. მაშინ უფრო სოლიდარული იქნება მუშაობა. ჩვენის მხრით ვეცდებით ყოველნაირათ დახმარება აღმოუჩინოთ განყოფილების დაარსებას.

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ „ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

—ა

ჩვენი ლამაზი სამშობლო, ედემი ამ ქვეყნისა, როგორც ამბობენ ჩვენი უცხოელი სტუმრები, ჩვენთვის შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, ჯერ კიდო უცნობია. სილამაზის მოტრფიალე უცხოელი, თავის სულის დასამშვიდებლად ჩვენსკენ ილტვის, თვრება ჩვენი მიდამოების მიუწდომელ სურათებით, ჩვენში ეზიარება მზიურ სიხარულს, ჯაბუკურ ნეტარებას.

ნაშთებს ჩვენი წარსული დიდებისა ჩვენ უმეტეს შემთხვევაში სხვების სიტყვებით ვეცნობით, თვითონ კი ზედ-მეტათ ვთვლით მათ ნახვას, მათ შესწავლას.

დაე ფართო მასასათვის შეუძლებელი იყოს თავის ქვეყნის რიგიანი შესწავლა, მაგრამ მათთვის ვიზედაც ჩვენ იმედებს ვამყარებთ, მათთვის ვისაც წილად ხვდათ ჩამდგარიყვენ ჩვენი ქვეყნის შვილების მოწინავე რაზმში... მათთვის?

რამდენია მისთანა ახალგაზდა მგოსანი რომ შემოეველოს საქართველოს საუკეთესო კუთხეები, რამდენია მისთანა ახალგაზდა მსახიობი რომ იცნობდეს სხვა და სხვა ტიპებს ჩვენი ხალხისას, ვის მოუსმენია ან მეასედი ჩვენი ხალხის კილოკავებისა.

რამდენს უნახავს ის ნეტარი კუთხე სადაც აკვანი გადაერწო ჩვენი ქვეყნის უპირველეს შვილს რუსთაველს, რამდენი ყოფილა იქ სადაც აზროვნებდა დიდი ავტორი „განდეგილისა“ ან იქ სადაც მისი სისხლი დაინთხა, რამდენს უნახავს სავანე აკაკის გამომზდელი სოფელი ან საჩხერე, მისს მუდმივი საცხოვრებელი.

და განა ყოფილა ვინმე ჩვენს ახალგაზდებში იქ სადაც „ნიავს სვავს“ ჩვენი მთების არწივი ვაჟა?

თითქმის არავინ, ძალიან ცოტა.—ზაფხული დგება და ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა მგოსანი უნდა დახუთოს მტვერმა და სიცხემ შავი ქალაქისამ, ნიჭიერმა ახალგაზდა მსახიობმა უნდა დაუწყოს ძებნა სადმე დაბას რომ ვიღაც უვიცების დახმარებით, წარმოდგენა გამართოს, მშიერი არ დარჩეს. ამას რა ეშველება, ეს ჩვენში გამორჩეულების ხვედრია.

მაგრამ დრო გამოშვებით მაინც ვანახვოთ ხოლმე მათ ნამდვილი სილამაზე, მთელი სიმძლავრე ბუნების სიდიადისა.

მოვაწყოთ ექსკურსია „თანამედროვე საქართველო“.

შევკრიბოთ ახალგაზდა ლიტერატორები, მხატვრები, მემუსიკენი, მსახიობნი და ვანახოთ ყველას ერთათ, ძმურათ, შეერთებულათ, სიმშვენიერე ჩვენი ქვეყნისა.

ეს საუკეთესო პატივისცემა იქნება მათი ნიჭისა, ეს უდიდესი სარგებლობა იქნება ჩვენგან მათდამი მინიჭებული.

ხალხიც მადლიერი დარჩება როდესაც გაიცნობს თავის მომავალ იმედებს. ყველა სიამოვნებით დაესწრება მათის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო საღამოებს სხვა და სხვა დაბებში და ქალაქებში. ექსკურსიის თავში მოსაწყობათ ისევ ქართველ საზოგადოებას უნდა მივმართოთ. მართალია ამ მიზნისათვის ჩვენ მალე გავმართავთ ქუთაისში სეირნობას, მაგრამ ეს საკმაო არ იქნება. შემოიტანეთ ყველამ თავ-თავის წვლილი თუ გინდათ მოუტანოთ უდიდესი სარგებლობა „თანამედროვე საქართველოს“. ქართველი პრესა იმედია დაგვეხმარება და საზოგადოებას კიდევ გააცნობს მთელს საჭიროებას ამ კითხვისას, ვინც მოისურვებს ამ საკითხზე თავისი აზრი გამოსთქვას ან ეკსკურსიის მოსაწყობათ წვლილის გამოღებას, გთხოვთ მიმართოთ ჩვენს რედაქციას.

ბ. ბ. მოექეცით ყურადღებით ჩვენს განზრახვას.

რა მოგვცა ჩვენ ლეონ ტოლსტოიმ.

ცნობილი ჟურნალისტი ა. ხირიაკოვი მიმართავს რუს მკითხველებს თხოვნით, გამოთქვას თითომ გულწრფელად, რა მისცა მას ლეონ ტოლსტოიმ. ხირიაკოვი თხოვს ყველას, ვინც მოინდომებს ამ კითხვაზე პასუხის მიცემას, ნუ დაერიდებიან ლიტერატურულად აზრების გამოუთქმელობას, ნურც იფიქრებენ იმას, რომ მათ აღსარებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. საჭიროა მხოლოდ სიმართლე, საჭიროა მხოლოდ გულიდან ამონაღები პასუხი კითხვაზე: „რა მომცა მე ლეონ ტოლსტოიმ, რა გავლენა იქონია მან ჩემ ცხოვრებაზე“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველებშიდაც მოიპოვებიან მისთანეები, რომ ამ კითხვაზე შესაფერ პასუხს გასცემენ.

პასუხი გაიგზავნება ამ მოსამართით:

Петербургъ, Васильевскій Островъ, 2 линія, домъ 13, Толстовксій, Музей, А. М. Хирьякову.

გონაკო ოტა ქ. ქუთაისში.

სავსე დარბაზი თეატრისა მკვდარი სიჩუმით ელის გონაკოს სცენაზე გამოსვლას. შემოდის პატარა, ბავშვივით კეკლუცი ქალი. ვისაც გონაკო ოტა არ უნახავს, იგი უეჭველად კითხავდა თავის თავს, ნუ თუ ამ პატარა, მერცხლის მგვანე არსებაში, ჰფეთქს ისეთი გრძნობიერი გული, ნუ თუ ეს არის ადამიანი რომელსაც ბედმა ელეონორა დუზეს შედარებაც კი არგუნა.

მაგრამ კმარა ერთი სიტყვა, კმარა ერთი ღიმილი ან სევდიანი სახის მიღება, და თქვენ დარწმუნდებით, რომ თქვენ წინაშე სდგას ნამდვილი ნიჭი, ნამდვილი მსახიობი.

და რაღაც თავისებურათ მოქმედობს მაყურებელზე ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, მისი ჩიტისავით ჟღურტული. ყველა ის პიესები, რომელშიდაც მსახიობი ქალი უმთავრეს როლებს თამაშობდა ჩვენ მეტად სუსტ ნაწარმოებათ გვეჩვენება, რადგან მათში თითქმის არაფერი არ არი სცენიური, რაც უნდა იყოს მათში ვერ ვპოებთ იმ სიახლეს რომელსაც უკანასკნელ დროში ევროპის თეატრი განიცდის.

პირველ დრამაში „თვითმკვლელობაში“ განაკო ოტამ ო-კიკუს როლი შეასრულა. როლს დრამატიული ელემენტი სჭარბობს, და აქ მსახიობი ქალი იჩენს მთელს თავის სიძლიერეს. ძვირათ გვინახავს თვითმკვლელობის სურათის ისე ძლიერათ დახატვა, როგორც ეს ოტამ შესძლო. აქ ყველაფერი ბუნებრივი იყო. შთაბეჭდილება ერთი ორათ გააძლიერა კისრიდან რაღაც მანქანებით გადმოხეთქილმა სისხლმა.

პიესაში „ჩაის სასმელი სახლი“ გონაკო ოტას კურტიზანკის როლი აქვს, აქ მსახიობი ქალი ჩემის ფიქრით ბევრათ უფრო სუსტია. კურტიზანკის სანდომიანობა, მომხიბლველობა მას სრულიად არა აქვს.

სამაგიეროთ კომედიაში „ოტოს მსახური.“ იგი ზედმიწევნით კარგია. გონსკი ცოცხალი, ბავშური ეშმაკობით სავსე მსახურია, და გონაკო ამ როლისათვის თვით თავის ბუნებით და გარეგნობით არის შესაფერი. მსახიობ ქალს მეტათ სუსტი პარტნიორები ახლავს. მათ შორის მხოლოთ კაკამურა სატრფიალო როლების ამასრულებელი მოგვეწონა.

ოქროს ვერძის ქრონიკა.

— 22 მაისს შესრულდება 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც გადაიცვალა გენიალური გერმანელი კომპოზიტორი **რიხარდ ვაგნერი** გამოჩენილი ავტორი ოპერების: „ტანგეიზერი“, „ლოენგრინი“ ტრისტანი და იზოლდა“ „ბეჭედი ნიბელუნგისა“ და სხვ.

— ცნობილი დექტორი **გრ. რობაქიძე** 22 მაისს მართავს სადამოს მხატვრულ კითხვისას ქ. ბათომში. დექტიის გარდა რობაქიძე წაიკითხავს თავის მხატვრულ ნაწარმოებთ. დექტორს თან ახლავს ახალგაზდა პოეტი **ი. გრიშაშვილი.**

— **გრ. რობაქიძე** მართავს აგრეთვე სადამოს მხატვრულ კითხვისას ქ. ქუთაისში.

— **დავით კლდიაშვილს** დაუწერია ახალი ერთ მოქმედებიანი პიესა და მოთხრობა. პიესა გაგზავნილია სატენზურო კომიტეტში, ხოდო მოთხრობა ჯერ შეუსწორებელია. მოთხრობას პატივცემული ავტორი „**ოქროს ვერძს**“ დაბეჭდავ.

— **რ. დათეშიძე** შეუდგა ახალგაზდა პოეტის გ. ტაბიძის დექსების გამოცემას.

— როგორც გავიგეთ ახალგაზდა პოეტი **ი. გრიშაშვილი** დექსავს ხალხურ ზღაპარს ეთერიანს.

— **ს. აბაშელი** შუშობს ეხლა დიდ პოემაზე.

— **დ. კასრაძე** მიემგზავრება ევროპაში სწავლის გასაგრძელებლათ.

— ამ მოკლე ხანში „გრამაფონის საზოგადოება“ გამოუშვებს გასასეიდლათ ფირფიტებს, რომელზედაც ჩვე-

ნი დიდი მგოსნის აკაკისაგან ნათქვამი თავის დექსები და სიტყვები იქნება ჩაწერილი.

— 7 წლის უცხო ქვეყნებში ეოფნის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა ცნობილი პოეტი კ. ბალმონტი. მას მოსკოვში დიდის ადტაცებით შეხვდა საზოგადოება. „წრემ თავისუფალ ესტეტიკისამ“ გაუმართა მას სადამო, რომელზედაც მრავალი საზოგადოება დასწრო. ვ. ბრიუსოვი, ი. ბალტრუშტაისი და სხ. მიეგებენ დიდის პატივცემულ ბალმონტს ეხება სკულის შეურაცეოფის საქმე. მაგრამ პოეტს არ ეშინია სასამართლოსი რადგან, როგორც თვითონ მან თქვა, იგი დამტკიცებს რომ მას უყვარს დმერთი.

— ცნობილმა რუსმა მწერალმა მ. არციბაშევმა დაწერა მოთხრობა სადაც უმთავრეს როლს ქართველი თავადი თამაშობს.

— ამ ზაფხულზე საქართველოში ედიან ახალგაზდა ნიჭიერ ჩვენს თანამემამულე პიანისტ ჯაბადარს.

— როგორც გავიგეთ ჩვენი სტენის მსახიობი ქალი დასპინე ივანიისა ძალიან უმეო მდგომარეობაში ეოფილა. ჩვენი სირცხვილია რომ ჩვენი სტენის ნიჭიერი კორნელია ასეთ მდგომარეობას განიცდის. საზოგადოების მოვალეობაა დეხმარეს მას.

— დღეს თბილისის სახალხო სახლში ფრიად ხანტერესო სადამოს მართავს ახალგაზდა პოეტი ვ. რუხაძე.

— თემის თანამშრომელი მ. წულუკიძე ამ ყამათ ბროშინტიაში კითხულობს დექციას: „საქართველოს ლიტერატურა მე XIX საუკუნისა.

რადენიმე დღე ქუთაისში ეოფნის შემდეგ აკაკი გაემგზავრა წყალტუბოს სადაც სამ კვირემდის დარჩება,

— გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება და მოღვაწეობა მდგდის შეკიტონ კეკელიძეს შედგენილი გამოვა მაისის დამდეგს და იყიდებისთვის პირველ რიცხვებში დაურიგდება ხელის მოსწერლებს.

— 22-26 მაისამდის თბილისში მართავს წარმოდგენებს მოსკოველი Cabaret „ლეტუჩაია მაშ (მეადმურა). დასში ერთ საუკეთესო მსახიობ ქალთ ითვლება ჩვენი თანამემამულე ნინო შესხიშვილის ასული ვდ. ალექსი-მეხიშვილის უმეტესი ქალი.

— ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგე ის. კვიტარიძეს პოლიციამ უკვე დაუბრუნა იანვარში სატენზურო კომიტეტების მიერ დაკავებული აკაკის ნაწერების 2 ტომი, რომლიდანაც ქუთაისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით ამოჭრეს ავტორის ახალი პოემა „ეორონტოვი და მისი დრო“ 64 გვერდი.

გამომტემელი ამ ამოჭრილი პოემის მაგიერ ბეჭდავს ამ წიგნში აკაკის სხვა ნაწერებს და ამ თვეში გამოუშვებს გასაიდათ და ხელის მოსწერლების დასარიგებლად.

ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებულ ბიბლიოტეკაში უკვე გაგზავნა ეხიდორე კვიტარიძემ რადენიმე თუმნის წიგნი.

- უსასრულობის გამო დაშალა ქუთაისის **მსახიობთა მხანაგობა.**

ბოდიშს ვიხდით რომ პირველ ნომერში განცხადებების დაბეჭდვა ვერ მოვასწარით.

რედაქცია კისრულობს პასუხი მისცეს მსურველთ ლიტერატურულ, ხელოვნურ და კრიტიკულ საკითხებზე. ვინც საპასუხოთ მარკებს არ წარმოადგენს პასუხი ჟურნალში დაიბეჭდება.

ჟურნალში რეცენზიის მოთავსებისათვის გამომცემლებმა უნდა გამოგზავნონ ორ-ორი ეკზემპლიარი თავის გამოცემისა.

ჩვენი ფოსტა.

არ დაიბეჭდება: ღამის ჰიმნი, ოცნების ნავი, გამორიყულნი, მიჰქრის ჟამი, გაზაფხული (კ. ა—ძის), მე წინ ვისწრაფვი, გრდემლის ცრემლები, მერცხალი, მწარე ფიქრები, გაზაფხულდა (ა. მ -ილიანის), სატრფოს საფლავზე, ბნელ ღამეში, ჩემი ცრემლები, ოცნების მხარეს (გ—ელის)...

არ დაიბეჭდება აგრეთვე კორრესპონდენციები სამტრედიიდან, ჭიათურიდან, ფოთიდან, შორაპნიდან და სხვა.

ვისაც არ სურს პასუხი ფოსტით მიიღოს უნდა მოგვაწოდოს წერილთან ერთად საპასუხო მარკები.

შინაარსი:

რუსთაველის სურათი.
ლექსები: ს. აბაშელის, ვ. რუხაძის, იასამანის, გ. ტაბიძის, კ. აბაშის—ელის.
ტ. ტაბიძე—კოლხიდაში.
ს. კლდიაშვილი - იყავით მარტო.
ლეო ქიაჩელი—ვაი რომ მართალია.
შალვა დადიანი—ტყვე.
ორი სიტყვა—რედაქციისა.
შ. რუსთაველი.
ექსკურსია „თანამედროვე საქართველო“.
რა მოგვცა ლეონ ტოლსტოიმ.
გონაკო ოოტა ქუთაისში.
ქრონიკა, რედაქციისაგან,
ფოსტა და სხვა.

რედაქტორ-გამომცემელი. ბ. ჯაიანი.

სტამბა ძმობა კაზაკოვის ქუჩა № 17.